ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №61

ქ. ბათუმი 07 მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ, შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორ ციური აბულძის სახით

და მეორეს მხრივ, შპს „დათანატა“ (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი დირექტორის როლანდ ქამადაძის სახით

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ „შემსყიდველისათვის“ სამშენებლო და დამხმარე სამშენებლო მასალების მიწოდება (CPV44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები; CPV31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი) შემდეგში შესყიდ-ვის ობიექტი, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ;
1.2 მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 20 მარტი;

2. ხელშეკრულების თანხა, ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 287,50 (ორასოთხმოცდაშვიდი ლარი და 50 თეთ-რი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების თანხა ითვალისწინებს როგორც საქონლის შესყიდვასთან/მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
2.3. დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.
2.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და სასაქონლო ზედნადების/საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს გაწეული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართე-ბაში.
3.2. გაწეული მომსახურება უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო; აკმაყოფილებდეს ხარისხის დადგენილ სტანდარტებს.
3.3. <u>შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შპს “სალიხ აბაშიძის ინფექციური პათო-ლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის“ სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი ნოდარ ფალავანდიშვილი.</u>
3.4. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი/გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულ-ებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების/საქონლის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლებააქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 5 დღის ვადაში მიმწოდებლის ხარჯით.

4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
4.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:
5.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;
5.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია:
5.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;
5.3.2. შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში დროულად აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯით.
5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვიდ ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელ-შეკრულების შესრულებაზე.
6.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.
6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდ-ველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.
7.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.
7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 20 აპრილი.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.
9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
10.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

11.მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“ ს/კ 245418392	შპს „დათანატა“ ს/კ 445488650
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ქათამაძის ქ. № 17 ელ. ფოსტა info.infeqciuri@gmail.com ტელ: 253615; 253088	მის: ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ., No38
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ,,ვი თი ბი ბანკი” ბ/კ: UGEBGE22 ა.ა. GE52VT5500000000203408	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა.ა. GE63TB7709336050100001
დირექტორი: ციური აბულაძე ----------	**დირექტორი: როლანდ ქამადაძე** ----------

"SALIKH ABASHIDZE INFECTIOUS DISEASES, AIDS & TUBERCULOSIS REGIONAL CENTER" LTD

Digitally signed by "SALIKH ABASHIDZE INFECTIOUS DISEASES, AIDS & TUBERCULOSIS REGIONAL CENTER" LTD
Date: 2019.03.07 17:01:01 +04'00'

დანართი 1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	როზეტი 2ბ (ჩ) 10A(თ) ეკფ-მინსკი	ცალი	5	3,00	15,00
2	როზეტი 2ბ ჩ 16A(ბეჟი-მინსკი	ცალი	1	4,00	4,00
3	კარის საკეტის გულანა KLASIK 70MM	ცალი	1	9,00	9,00
4	გერმეტიკი"Sista" უნივერსალი სილიკონი 310მლ (უფერო)	ცალი	1	11,00	11,00
5	გადამყ-ტრაინიკი (შავ) PROF 3x10ა	ცალი	2	4,00	8,00
6	F-14 სკობი#14	ცალი	1	3,00	3,00
7	JINH F-12 სკობი NO:12	ცალი	1	2,00	2,00
8	სადენი მოქნილი მრგვალი 2*2.5	მეტრი	25	1,50	37,50
9	Skom Brush 2.5/ფუნჯი	ცალი	1	2,50	2,50
10	ABS პირველი პირი 25 კგ ტომარა(სამშენებლო ბათქაში)	ცალი	1	9,00	9,00
11	ბათქაში მეორე პირი 25კგ აბს	ცალი	1	10,00	10,00
12	CEM II B-P32.5 N/შ	ტომარა	1	11,00	11,00
13	სალებავი Betek Synthetic Paint 0.75ლტ	ცალი	2	8,25	16,50
14	პლასტმასის შპატელი სახელურით 0108	ცალი	1	3,50	3,50
15	პროფ. შპადელი რბილი ტარით 10სმ 025	ცალი	1	10,00	10,00
16	ზუმფარა ღრუბელზე 100*70*25 მმ - 36	ცალი	10	1,00	10,00
17	სახვეტი ჯაგრისი 40 სმ	ცალი	9	5,00	45,00
18	საკეტის გული ვ68ზ3 ვისტა-1	ცალი	2	9,50	19,00
19	PERMOLIT Synthetic Thinner 0.603 Lt გამხსნელი	ცალი	1	5,00	5,00
20	ფეხი პლასმასის 8.სმ მატოვი.სედეფ მოდერნი+	ცალი	8	2,00	16,00
21	112.1B.X21.EQ0 ADAPTOR MALE 20X1/2"M ქურო პირდაპირი VESBO	ცალი	2	3,00	6,00
22	პლასმასის ვინტილი სპილენძის გულით 20 თეთრი	ცალი	1	5,00	5,00
23	შტუცერი თუთიის 1/2 შხ 18 მმ	ცალი	1	1,50	1,50
24	ქურო 1/2*1/2	ცალი	1	1,00	1,00
25	გ/როზეტი 1ბ/10Aთ/minskiEKF	ცალი	1	2,50	2,50
26	ავტ.ამომრთველი EKF 1P32A	ცალი	1	5,00	5,00

27	ავტომატის ყუთი პლასტმასის F-2P	ცალი	1	2,00	2,00
28	NS-52 დრეკადი მილი 45სმ 1/2xTC მეტალის	ცალი	1	4,50	4,50
29	გადამყვანი 1/2-3/8 (ნაკ.რკ)	ცალი	1	1,00	1,00
30	სარწყავი მილი უძაფო 3/4	მეტრი	4	1,50	6,00
31	აცეტილენის შლანგი 10 მმ (50მტ) HAC010	მეტრი	2	2,00	4,00
32	ხამუთი 10-19	ცალი	4	0,50	2,00

Roland Kamadadze

Подписано цифровой подписью: Roland Kamadadze
Дата: 2019.03.07 16:56:42 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა
კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი **07 მარტი, 2019 წ.**

ვადასტურებთ, რომ შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ სამშენებლო და დამხმარე სამშენებლო მასალების მიწოდება (CPV44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორი: **ციური აბულაძე**

ადმინისტრაციულ - სამეურნეო
დეპარტამენტის უფროსი: **ნოდარ ფალავანდიშვილი**